ხელშეკრულება № 01 / 10 / 127

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 16 აგვისტო, 2019 წელი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის, ვახტანგ შავგულიძის სახით და **სს „ფრანს ავტო“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი, გენერალური დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.15 №13 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუქტის თ) ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 21.01.11 №26 დადგენილების შესაბამისად, 15.08.19 #378572/17 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია **შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხულ ავტომობილ „რენაულტ ლოგანის”**–ის მარკის ავტომობილის (სახელმწიფო ნომრით UV-486-VU) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების და ამ მომსახურების გაწევისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილ(ებ)ის შესყიდვა **(CPV-50100000)**.

2.2 შესასყიდი, ავტომობილის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურებისა და ამ მომსახურების გაწევისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილის დასახელებები მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში (დანართი #1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 120.00 (ასოცი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

3.3. შესასყიდი მომსახურების და ამ მომსახურების გაწევისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილის ღირებულებები მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში (დანართი #1), რომელიც მოიცავს ამ მომსახურების სრულფასოვნად და ხარისხიანად გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღეში **შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხულ „რენაულტ ლოგანი“**–ის მარკის ავტომობილზე (სახელმწიფო ნომრით UV-486-VU) განახორციელოს გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიშის შეცვლის მომსახურება;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ მომსახურებაზე და გამოცვლილ ნაწილზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია.

5.2 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში განახორციელოს წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.3 მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტები და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

6. ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის სამეურნეო სამსახურის მთავარი სპეციალისტი - გიორგი ლიპარტელიანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - ამავე სამსახურის სხვა თანამშრომელი.

6.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება და გამოასწოროს წუნი 2 სამუშაო დღის ვადაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის საკუთარი შემოსავლები;

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ

შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის
ვახტანგ შავგულიძის სახით,
მისამართი: თბილისი, წმ.ნიკოლოზის/ნ.ჩხეიძის №2
ტელეფონი: 291-05-17,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში, GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22; სახაზინო კოდი: 707427078
ს/კ – 202238621

მიმწოდებელი:

სს „ფრანს ავტო“
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით,
მისამართი: თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის 34
ტელეფონი: 2531700; მობ.577540013
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.GE25BG0000000254559400
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ - 236 098 165

დანართი #1

ფასთა ცხრილი

მომსახურების/სათადარიგო ნაწილის დასახელება	**ავტომობილი**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ღირებულება**	**საერთო ღირებულება**
1.გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიში	**RENAULT LOGAN სახ.ნომერი UV-486-VU**	**ცალი**	**1**	**95.00 ლარი**	**95.00 ლარი**
2.გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიშის შეცვლა		**ცალი**	**1**	**25.00 ლარი**	**25.00 ლარი**
ჯამი					**120.00 ლარი**

სს „ფრანს ავტო“
წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, გიორგი ფალიანის სახით,
მისამართი: თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის 34
ტელეფონი: 2531700; მობ.577540013
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.GE25BG0000000254559400
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22,
ს/კ - 236 098 165

ხელწერილი ინერესთა კონფლიქტის შესახებ

2019 წლის 16 აგვისტო

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ავტომობილის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (გადაცემათა კოლოფის საყრდენი ბალიშის შეცვლა) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, სს „ფრანს ავტო“-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი,
ვახტანგ შავგულიძე